საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004172

„13" აგვისტო 2025 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჭიროებათა დანესებულება-გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, ვ. ნინოშვილის I ჯს. №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ჭოთარა ჰესი" (ს/ს 405265626)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

იურ. მის.: ქ. თბილისი, დეთაშვილის ჭუჩა №2; ვ. ფაფავის ჭუჩა №1, სახლი 3. ნიუსული +9; დირექტორი
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

; მინისტრის 2019 წლის 4 ოქტომბრის №2-956 ბრძანებით

გეგმიური გარემოსდაცვითი გაანალიზება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004172

ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N004172 აღმინისტრაციული მიწერილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 10 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის შენიშვნის პირველი

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ნაწილის და ამავე კოდექსის 84-ე მუხლის 3[1] ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გეოინფორმაციული ზედამხედველობის დეპარტამენტი

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

უფროსის მოადგილე - მიავალი სახელმწიფო ინსპექტორი ნინო კოსტიკიანი

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოსტიკიანი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ელფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 27 ივნისის № DES 9 24 00000283 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა, ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭიორაში და სოფელ ღებში, მდინარე ჩვეშურასა და მდინარე ხვარგულაზე, 15,85 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჭიორა ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 ოქტომბრის № 2–956 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. **მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად** კომპანია არ ახორციელებს საქმიანობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, კერძოდ:

1.1 ბანაკის ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი გზშ ანგარიშით გათვალისწინებული საცხოვრებელი კემპები (მუშა და მომსახურე პერსონალი ობიექტის სამშენებლო პროექტის განხორციელების პერიოდში ცხოვრობენ ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტში არსებულ სასტუმროებში). ასევე არ არის დამონტაჟებული სასმელი წყლის მიმწოდებელი წყალსაწნეო კოშკურა და წყლის გაუვნებელყოფისათვის ულტრაიისფერი დასხივების დანადგარი;

1.2 **გზშ ანგარიშის დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად,** კომპანიას არ აქვს განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

1.2.1. დერეფნის გასწვრივ, იქ სადაც ბუნებრივი მცენარეულობა განსაკუთრებით განიცდის ადამიანის ზეგავლენას, არ აქვს ჩატარებული ბუნებრივ მცენარეულობასთან მიახლოებული ან ლანდშაფტურად დასაშვები გამწვანებითი სამუშაოები (მაგ. წაბლის შეთესვა) **(გზშ გვ. 211. თავი 7.1.1. ფლორა. მოსალოდნელი ზემოქმედება, დასკვნა, რეკომენდაცია);**

1.2.2. მშენებლობის პროცესში არ აქვს განხორციელებული წავის მონიტორინგი, რაც ითვალისწინებდა წავის ნიშან-კვალის აღრიცხვას და GPS კოორდინატებით მონიშვნას, მდინარის ხეობის მთელ მონაკვეთზე, სათავე ნაგებობის განთავსების ადგილიდან ქვემოთ - მდინარე რიონამდე **(გზშ გვ 213. თავი 7.2.1. ფაუნა; მოსალოდნელი ზემოქმედება, დასკვნა, რეკომენდაცია);**

1.2.3. მშენებლობის პერიოდში, ნიადაგის წყალში მოხვედრის თავიდან აცილებისა და წყლის საბაზისო გამჭვირვალობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, ასევე წყლის შესაძლო ქიმიური დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, არ არის მოწყობილი მიწის ნალექების შემაკავებელი ზღუდეები ან „ფარდები", ასევე არ არის ნაწარმოები მუდმივი მონიტორინგი მშენებლობის პარალელურად **(გზშ გვ 214. თავი 7.1.3. იქთიოფაუნა; მოსალოდნელი ზემოქმედება, დასკვნა, რეკომენდაცია);**

1.2.4. საპროექტო ტერიტორიის გარეთ, ჭიორა-ღების დამაკავშირებელი გზის მონაკვეთზე (GPS კოორდინატები: X-0378929, Y-4734333), სადაც ფერდობი აქტიურ დინამიკაშია და მუდმივად აზიანებს საავტომობილო გზას, ნაწარმოებია ფერდის გამაგრებითი სამუშაოები, თუმცა განხორციელებული მონიტორინგისა და შესაბამისად, დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია არ არის წარდგენილი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში. ასევე, გვირაბის გაყვანის პროცესში არ არის განხორციელებული მონიტორინგი ხევის ზეგავლენაზე, რომელიც კვეთს გვირაბის ღერძს ჩრდილოეთ პორტალის მიმდებარედ **(გზშ გვ 216. თავი 7.3. გეოლოგიური გარემო; მოსალოდნელი ზემოქმედება, დასკვნა, რეკომენდაცია);**

2. მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-4 პუნქტის შესაბამისად,** კომპანიას, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან, არ აქვს შეთანხმებული ჰესის მშენებლობის შედეგად წრმოქმნილი ფუჭი ქანების (მათ შორის დროებითი სანაყაროს) პროექტები (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი №21/6438, 19.06.24წ.). ინსპექტირების შედეგად იდენტიფიცირებული იქნა ადგილები, სადაც კომპანიის მიერ, ობიექტის მშენებლობის დროს (ასევე გვირაბის ბურღვა აფეთქებითი სამუშაოების წარმოების დროს) წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები დაყრილია სხვადასხვა ადგილებზე;

3. მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-5 პუნქტის შესაბამისად,** არ არის შემუშავებული და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შესათანხმებლად წარდგენილი სამშენებლო მოედნის/ბანაკის პროექტი, shape ფაილებთან ერთად (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი №21/6438, 19.06.24წ.);

4. მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-7 პუნქტის შესაბამისად,** კომპანიის მიერ არ არის დადგენილი, მდ. ხვარგულას სათავე ნაგებობის უბანზე, მდინარის კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმეები და შესაბამისად, არ არის შესათანხმებლად წარდგენილი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი №21/6438, 19.06.24წ.);

5. მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-8 პუნქტის შესაბამისად,** კომპანიის მიერ არ არის განსაზღვრული და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული ძირითადი ნაგებობების მშენებლობის ტექნოლოგიური სქემებისა და სათავე ნაგებობებზე მდინარეების ხარჯების დროებითი გატარების პირობები (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი №21/6438, 19.06.24წ.);

6. მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-9 პუნქტის შესაბამისად,** კომპანიის მიერ, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში, არ არის შესათანხმებლად წარდგენილი სალექარების გარეცხვის პერიოდში წყლის სიმღვრივის მატებისა და იქთიოფაუნისათვის მიყენებული ზარალის პროგნოზი, შესაბამისი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი №21/6438, 19.06.24წ.);

7. მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-10 პუნქტის შესაბამისად,** სათავე ნაგებობებთან (შეტბორვის არეალის გარეთ) არ არის მოწყობილი/განთავსებული ავტომატური დონემზომი და მდინარეების ყოველდღიური ხარჯების შესახებ ინფორმაცია ყოველკვარტალურად არ არის წარმოდგენილი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი №21/6438, 19.06.24წ.);

8. მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-11 პუნქტის შესაბამისად,** კომპანიას არ აქვს შესრულებული ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, **შემოწმების შედეგად ვერ იქნა ნანახი გზშ ანგარიშში (თავი 7.4 გვ. 232) განსაზღვრულ არეალში (საპროექტო სადაწნეო მილსადენის მშენებლობის დროს) მოხსნილი და დასაწყობებული 1050 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა;**

9. მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-12 პუნქტის შესაბამისად,** კომპანიას არ აქვს შემუშავებული და სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანების შესაბამისად (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი №21/6438, 19.06.24წ.);

10. მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-13 პუნქტის შესაბამისად,** კომპანიას სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან არ აქვს შეთანხმებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებები. დადგინდა, რომ ჭიორა ჰესის მშენებლობის მიზნით, სამშენებლო დერეფანში ნაწარმოები სამუშაოების ფართობები ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ტერიტორიასთან. ასევე, სამშენებლო დერეფანში გზშ ანაგრიშში მოცემული/აღრიცხული (გზშ ანგარიშის შესაბამისად 1334 ძირი 8სმ და მეტი დიამეტრის სხვადახვა სახეობის მერქნული რესურსი, საერთო მოცულობით 296.34 მ³, გზშ. გვ 152 და დანართი №5), ხე-მცენარეების ჭრა განხორციელებულია სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების გარეშე (სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წერილი № GOV N 11/5456, 21.08.24);

11. მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-14 პუნქტის შესაბამისად,** კომპანიას, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსთვის არ უცნობებია ჰესის მშენებლობის დაწყების შესახებ (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი №21/6438, 19.06.24წ.).

12. **ასევე გამოვლინდა,** რომ შპს „ჭიორა ჰესი"-ს მიერ, მშენებლობის ეტაპზე განხორციელებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე, **კერძოდ:**

12.1. **მდინარე ჩვეშურაზე, სათავე ნაგებობა** მოწყობილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული პირობებისა და პარამეტრების დარღვევით:

12.1.1. სათავე ნაგებობის განთავსების ადგილი (GPS კოორდინატი: X-0381289 Y-4737413), არ შეესაბამება გზშ ანგარიშში მითითებულ სათავე ნაგებობის განთავსების ტერიტორიას (GPS კოორდინატი X-0381269 Y-4737338);
12.1.2. სათავე ნაგებობა წანაცვლებულია ზედა ბიეფში მდინარე ჩვეშურას უფრო ფართო კალაპოტისაკენ;
12.1.3. მოწყობილი სათავე ნაგებობის ტიპი, კონსტრუქცია და შემადგენელი დეტალები არ შეესაბამება გზშ ანგარიშში მოცემულ პარამეტრებს;
12.1.4. არ არის მოწყობილი გვერდითი წყალმიმღები (კაშხლის გვერდითი წყალმიმღების მშენებლობა არ იგეგმება კაშხლის კონსტრუქციის ცვლილების გამო);
12.1.5. მოწყობილი სადერივაციო ე.წ. სატრანსფერო გვირაბის სიგრძე არ შეესაბამება გზშ ანგარიშში მოცემულ მონაცემს;

12.2. **მდინარე ხვარგულაზე, სათავე ნაგებობა** არ არის მოწყობილი გზშ ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ:

12.2.1 სათავსე ნაგებობის განთავსების ადგილი (GPS კოორდინატი: X-0381301 Y-4736821), არ შეესაბამება გზშ ანგარიშში მითითებულ სათავე ნაგებობის განთავსების ტერიტორიას (GPS კოორდინატი: X-0381241 Y-4736778);
12.2.2 გზშ ანგარიშთან არ არის თანხვედრაში სათავე ნაგებობის კონსტრუქცია, ნაგებობის შემადგენლობაში არ იყო გათვალისწინებული კაშხალსა და გამრეცხ სალექარს შორის წყალშემკრები გალერეა ე.წ. გამრეცხი;
12.2.3 სატრანსფერო არხიდან მოდინებული წყალი, ნაცვლად გზშ ანგარიშით გათვალისწინებული კაშხლის წყალმიმღებისა, მიწისქვეშა ბეტონის არხით გადაკვეთს მდინარის კალაპოტს და პირდაპირ, თვითდინებით შევა წყალშემკრებ გალერეაში;

12.3. **სადაწნეო მილსადენი** არ არის მოწყობილი გზშ ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ, გზშ ანგარიშით გათვალისწინებულია საექსპლუატაციო გვირაბში შემავალი სადაწნეო მილსადენის უკიდურესად მარჯვენა მხარეს განთავსება ბეტონის სადგამებზე. ინსპექტირებით დადგინდა, რომ სადაწნეო მილსადენი მოწყობილია პროექტის ცვლილებით და განთავსებულია გვირაბის ცენტრში ლითონის სადგამებზე;

12.4. **საექსპლუატაციო გვირაბიდან** წყალმოცილება არ ხდება გზშ ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ:

გზშ ანგარიშის შესაბამისად, საექსპლუატაციო გვირაბიდან წყალმოცილება უნდა მოხდეს თვითდინებით, წყალსარინი არხის მეშვეობით. გვირაბის სიგრძე შეადგენს 850 მ, ხოლო წყალსარინი არხი მოეწყობა გვირაბის შუა ნაწილიდან, ქანობით პორტალებისკენ, 427 მ. პორტალი N1-ისკენ და 423 მ. პორტალი N2-ისკენ. ორივე შემთხვევაში, სადრენაჟო წყლები ჩაშვებული იქნება პორტალებთან მოწყობილ სასედიმენტაციო გამწმენდ ნაგებობაში. შეწონილი ნაწილაკებისაგან გაწმენდის შემდეგ წყლები პერიოდულად გაიტანება ასენიზაციის მანქანით და ჩაიშვება ონის მუნციპალიტეტის შესაბამისი სანიტარული სამსახურების მიერ მითითებულ ადგილას (გზშ გვ.192. თავი 6.10 - ზედაპირული და გრუნტის წყლები).

ინსპექტირებით დადგინდა, რომ სამხრეთ პორტალთან (პორტალი N2) მოწყობილია სასედიმენტაციო ქვაბული, ხოლო ჩრდილოეთ პორტალთან (პორტალი N1) სასედიმენტაციო ქვაბული მოწყობილი არ არის. ასევე, დადგინდა, რომ სამხრეთ პორტალიდან გაწმენდილი წყალი მიწისქვეშა მილის საშუალებით იღვრება ფერდობზე, ადგილის რელიეფში.

12.5. **მოწყობილი გამყვანი არხის პარამეტრები არ შეესაბამება** გზშ ანგარიშით (**გზშ. გვ.53**) გათვალისწინებულ პარამეტრებს. კერძოდ, გზშ ანგარიშით გათვალისწინებულია 4 მ. სიგანის და 2,5 მ. სიღრმის არხის მოწყობა, თუმცა **ინსპექტირებით დადგინდა, რომ მოწყობილი იყო ტრაპეციის ფორმის არხი, რომლის ფსკერის სიგანეა 6 მეტრი, ზედაპირის სიგანე 11 მეტრი, ხოლო სიღრმე 1, 60 მეტრი;**

13. **შემოწმების შედეგად ასევე გამოვლინდა გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შემდეგი დარღვევები:**

13.1. შპს „ჭიორა ჰესი"-ს მშენებლობის შედეგად თვითნებურად დაკავებულია მდინარე ჩვეშურაზე, სახელმწიფო ტყის (324+802) 1126მ² ფართობის ტერიტორია. აქედან, 324 კვ.მ. დაკავებულია ფუჭი ქანების სანაყაროს ნაწილით, ხოლო 802მ² დაკავებულია მდინარე ჩვეშურაზე მოწყობილი კაპიტალური ნაგებობებით (სათავე ნაგებობა). ამასთან, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ შეინიშნება ტყის ნიადაგი და ხე-მცენარეები და წარმოადგენს მდინარის ჭალა-კალაპოტს;

13.2. შპს „ჭიორა ჰესი"-ს მიერ ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: 88.17.21.116 და 88.12.21.003.003) არამიზნობრივად გამოყენება. კერძოდ, მითითებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული იყო არაკაპიტალური, დროებითი კონტეინერები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით;

13.3. GPS კოორდინატებზე: 1. X – 0379838 Y - 4734649; 2. X - 0379837 Y - 4734646; 3. X - 0379868 Y - 4734615; 4. X - 0379841 Y - 4734651; 5. X – 0379811 Y – 4734625 გამოვლინდა **სახიფათო ნარჩენებით** (ნავთპროდუქტები, ზეთიანი ჩვრები, ნავთობპროდუქტებით დანიბძურებული კასრები/მანქანის ნაწილები) **ტერიტორიის დაბინძურების ფაქტი;**

13.4. შპს „ჭიორა ჰესი"-ს მიერ არ იქნა წარმოდგენილი დეპარტამენტის მიერ 02.07.2024 წლის № DES02400042837 და 31.07.2024 წლის №DES62400049331 წერილებით მოთხოვნილი სავალდებულო ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 7 ნოემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით, 79^7 მუხლის პირველი ნაწილით, 53^2 მუხლით, 49-ე მუხლის პირველი ნაწილით, 84-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 48-ე მუხლით, 65-ე მუხლისა და ნარჩენების მართვის კოდექსის 36 - ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „ჭიორა ჰესი"-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 088807 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ონის მაგისტრატ სასამართლოს.

ოქმი განიხილა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ და 2024 წლის 10 დეკემბრის №4/813-2024 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით, 79^7 მუხლის პირველი ნაწილით, 53^2 მუხლით, 49-ე მუხლის პირველი ნაწილით, 84-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 48-ე მუხლით, 65-ე მუხლისა და ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 10 000 ლარი, ასევე, დააკისრა გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება ჯამში 12 237,17 ლარი. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჭიორა ჰესი"-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 13 აგვისტოს №004172 ადმინისტრაციული მიწერილობა.

ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭიორაში და სოფელ ღებში, მდინარე ჩვეშურასა და მდინარე ხვარგულაზე, 15,85 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჭიორა ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 ოქტომბრის № 2–956 ბრძანებით გაცემული, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ჭიორა ჰესი“ ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან საქმიანობა** განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-3 პუნქტი**). მათ შორის:

1.1 **გზშ ანგარიშის დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად:**

1.1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2026 წლის 01 ივნისამდე დაიწყოს** ბუნებრივ მცენარეულობასთან მიახლოებული ან ლანდშაფტურად დასაშვები გამწვანებითი სამუშაოები (მაგ. წაბლის შეთესვა) დერეფნის გასწვრივ, იქ სადაც ბუნებრივი მცენარეულობა განსაკუთრებით განიცდის ადამიანის ზეგავლენას;

1.1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში** დაიწყოს წავის მონიტორინგი, რაც ითვალისწინებს წავის ყველა ნიშან-კვალის აღრიცხვას და GPS კოორდინატებით მონიშვნას, მდინარის ხეობის მთელ მონაკვეთზე, სათავე ნაგებობის განთავსების ადგლიდან ქვემოთ-მდინარე რიონამდე;

1.1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2026 წლის 01 ივნისამდე** უზრუნველყოს მიწის ნალექების შემაკავებელი ზღუდეების ან „ფარდების“ მოწყობა, ნიადაგის წყალში მოხვედრის თავიდან აცილებისა და წყლის საბაზისო გამჭირვალობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, ასევე წყლის შესაძლო ქიმიური დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით. ასევე, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში აწარმოოს მუდმივი მონიტორინგი წყლის საბაზისო გამჭირვალობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად და წყლის შესაძლო ქიმიური დაბინძურების პრევენციის/გამოვლენის მიზნით;

1.1.4. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან,** ჭიორა-ღების დამაკავშირებელი გზის მონაკვეთზე განახორციელოს მეწყრული სხეულის **მუდმივი მონიტორინგი.** ასევე განხორციელოს მონიტორინგი ხევის ზეგავლენაზე, რომელიც კვეთს გვირაბის ღერძს ჩრდილოეთ პორტალის მიმდებარედ. ამასთან, საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების თავიდან აცილების მიზნით, **საჭიროების შემთხვევაში და მონტორინგის**

შედეგებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა და აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენა;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში** შეიმუშაოს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს ჰესის მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი ფუჭი ქანების სანაყაროების პროექტები (მათ შორის, შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, ინსპექტირების შედეგად იდენტიფიცირებული ობიექტის მშენებლობის დროს, ასევე გვირაბის ბურღვა აფეთქებითი სამუშაოების დროს წარმოქმნილი და სხვადასხვა ადგილებზე დაყრილი, ინერტული ნარჩენების შესახებ (მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-4 პუნქტი**);

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში** უზრუნველყოს მდ. ხვარგულას სათავე ნაგებობის უბანზე მდინარის კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმეების დადგენა და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-7 პუნქტი**);

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში** უზრუნველყოს,ძირითადი ნაგებობების მშენებლობის ტექნოლოგიური სქემებისა და სათავე ნაგებობებზე მდინარეების ხარჯების დროებითი გატარების პირობების განსაზღვრა და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-8 პუნქტი**);

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს სალექარების გარეცხვის პერიოდში წყლის სიმღვრივის მატებისა და იქთიოფაუნისათვის მიყენებული ზარალის პროგნოზი, შესაბამისი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები (მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-9 პუნქტი**);

6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, სათავე ნაგებობებთან (შეტბორვის არეალის გარეთ), ავტომატური დონემზომის მოწყობა/განთავსება და დამონტაჟების შემდგომ **მდინარეების ყოველდღიური ხარჯების შესახებ ინფორმაცია ყოველკვარტალურად წარადგინოს** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-10 პუნქტი**);

7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, საქმიანობის განხორციელების პროცესში, **მუდმივად** უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება (მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-11 პუნქტი**);

8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანების შესაბამისად (მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-12 პუნქტი**). შემდგომში, უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება. ასევე, **ამავე ვადაში** უზრუნველყოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი, **სახიფათო ნარჩენებით** (ნავთპროდუქტები, ზეთიანი ჩვრები, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული კასრები/მანქანის ნაწილები) **დაბინძურებული ტერიტორიის** (GPS კოორდინატები: 1. X – 0379838 Y - 4734649; 2. X - 0379837 Y - 4734646; 3. X - 0379868 Y - 4734615; 4. X - 0379841 Y - 4734651; 5. X – 0379811 Y – 4734625) **გაწმენდა/დასუფთავება,** ხოლო აღნიშნული ნარჩენების მართვა განახორციელოს, ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;

9. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე **საქმიანობა მუდმივად განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმება** (მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის № 2–956 ბრძანების **მე-13 პუნქტი**);

10. ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „ჭიორა ჰესი"-ს მიერ, განხორციელებულია **ექსპლუატაციის პირობების ცვლილება,** გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული **შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე** (იხ. 2025 წლის 13 აგვისტოს №004172 ადმინისტრაცული მიწერლობის №1 დანართის მე-12 პუნქტი), შპს „ჭიორა ჰესი" ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში მიმართოს** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით;

11. ვინაიდან გამოვლინდა, რომ შპს „ჭიორა ჰესი"-ს მიერ ხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: 88.17.21.116 და 88.12.21.003.003) არამიზნობრივი გამოყენება (იხ. 2025 წლის 13 აგვისტოს №004172 ადმინისტრაცული მიწერლობის №1 დანართის **მე-13 პუნქტის 13.2. ქვეპუნქტი**), „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილების მე-10 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **გეზღუდებათ საქმიანობის განხორციელების უფლება საკადასტრო კოდით 88.17.21.116 და 88.12.21.003.003 განსაზღვრულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე.** ასევე, შპს „ჭიორა ჰესი" ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან**

არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს მითითებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული, არაკაპიტალური დროებითი კონტეინერების ტერიტორიიდან გატანა.